



დოკუმენტაციაზე დაფუძნებული მკვლევარული პროგრამის კატალოგი

დიკლომირებული მედიკოსი
პროგრამის კატალოგი
(ინგლისურენოვანი)

2023 წ

შინაარსი

უამი ზღვის სავრთაუორისო უნივერსიტეტის შესახებ	3
დიკლომირებული მედიკოსი.....	4



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU) 1995 წლიდან ეწევა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას. უნივერსიტეტი არის პირველი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელიც სწავლების სამივე საფეხურზე ახორციელებს პროგრამებს, როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენებზე.

უნივერსიტეტში სწავლის მაღალ დონეს ადგილობრივი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული 200-ზე მეტი პროფესორი უზრუნველყოფს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებს უამრავ შესაძლებლობას სთავაზობს. კერძოდ: მრავალფეროვან საჯარო ლექციებს, სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან დისკუსიებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, იმიტირებულ სასამართლო პროცესებს, ბიბლიოთეკაში 25 000-ზე მეტ წიგნსა და მუდმივად განახლებად ელექტრონულ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობას, 30-ზე მეტი განსხვავებული მიმართულების კლუბებში ჩართვას; სპორტის სხვადასხვა სახეობის ჩემპიონატში მონაწილეობას, სპორტდარბაზში, კალათბურთის მოედანზე, ღია და დახურულ სტადიონებზე ვარჯიშის შესაძლებლობას, ექსკურსიებს, პიკნიკებს, ლაშქრობებსა და სხვა კლასგარეშე აქტივობებს.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 4500-ზე მეტი კურსდამთავრებული უკვე ფლობს უნივერსიტეტის მიერ გაცემულ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომს. IBSU-ს სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ გაცვლითი პროგრამებით. უნივერსიტეტს 24 ქვეყნის სასწავლო დაწესებულებასთან 70 მემორანდუმი აქვს გაფორმებული. IBSU ჩართულია Erasmus+-ისა და DAAD-ის პროექტებში.

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, 2

საფოსტო ინდექსი: 0131

+995 32 2595006

contact@ibsu.edu.ge

საკონტაქტო ინფორმაცია

პროგრამის ადმინისტრაციული დირექტორი:

ნინო ჩალაბაშვილი

E-mail: nini.chalabashvili@ibsu.edu.ge

დიპლომირებული მედიკოსი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: დიპლომირებული მედიკოსი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 360 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი (სახელმწიფოს მიერ დადასტურებული) შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის გადალახვა, გარდა ინგლისური ენის გამოცდისა. ინგლისურ ენაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 80%.
- ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე - ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების B2 დონეზე დამადასტურებელი სერტიფიკატის (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNiCert®, EnglishScore და სხვ) წარმოდგენა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტი ამოწმებს ინგლისური ენის ცოდნის დონეს მის მიერ შემუშავებული რეგულაციებისა და დიპლომამდელი სამედიცინო განათლების მოქმედი ეროვნული დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის თანახმად).

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე:

- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში არანაკლებ 75 დღისა ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ასევე, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში აბიტურიენტის დაშვების წინაპირობას წარმოადგენს:

- ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე - ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების B2 დონეზე დამადასტურებელი სერტიფიკატის (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNICert®, EnglishScore და სხვ) წარმოდგენა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტი ამოწმებს ინგლისური ენის ცოდნის დონეს ორგანიზებული გამოცდის მეშვეობით, რომელიც მოიცავს: მოსმენას, წაკითხული ტექსტის გააზრებასა და ანალიზს, საუბარს და შეესაბამება დიპლომამდელი სამედიცინო განათლების მოქმედი ეროვნული დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს

ან

- ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებისთვის შესაბამისი დოკუმენტის (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა) წარმოდგენისას და ასევე საქართველოს მოქალაქისთვის, რომელმაც ინგლისურ ენაზე უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი განათლება, ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომელიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდა უცხო ქვეყანაში და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა).

პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე – <https://iro.ibsu.edu.ge/en/home>.

პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს შეხვედრებს აბიტურიენტებთან მთელი ქვეყნის მასშტაბით და საერთაშორისო აბიტურიენტებთან საჭიროებისამებრ. შეხვედრების დროს აბიტურიენტებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია

სკოლის პროგრამების შესახებ (გარდა ზეპირი კომუნიკაციისა, მათ ასევე ურიგდებათ შესაბამისი საინფორმაციო ბუკლეტები).

პროგრამა და შესაბამისად პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ინფორმაციის გავრცელება აგრეთვე ხდება სოციალური ქსელის მეშვეობით და სატელეფონო და ელექტრონული ფოსტის საშუალებით ხდება დაინტერესებული კანდიდატებთან კონსულტაცია.

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სწავლის შედეგები სისტემატიზირებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შეფასების კრიტერიუმების და მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის კომპეტენციების ინტეგრაციის საფუძველზე, ახდენს რა კვალიფიკაციათა 3 დომენის მიხედვით უმაღლესი სამედიცინო განათლების 14 კომპეტენციის ასახვას.

ცოდნა და გაცნობიერება

სწავლის შედეგი 1: (K1) ბიოსამედიცინო, ქცევითი, სოციალური, კლინიკური მეცნიერებების და დარგის ფუნდამენტური პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა და გაცნობიერება პროგრამის კურსდამთავრებულთ:

- 1.1. ავლენს ბიოსამედიცინო მეცნიერებების ღრმა და სისტემურ ცოდნას, კრიტიკულ აზროვნებას, რაც ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის და ორიგინალური იდეების განვითარებისთვის.
- 1.2. განიხილავს და ადარებს ნორმალური და პათოლოგიური პროცესების დამახასიათებელ სტრუქტურულ ორგანიზაციას, ფუნქციურ ცვლილებების მექანიზმებს და მეტაბოლიზმს - მოლეკულურ, უჯრედულ, ქსოვილოვან, ორგანოების და სისტემების დონეზე.
- 1.3. განიხილავს იმუნური სისტემის ფუნქციას, კომპონენტებს და მახასიათებლებს. ადარებს თანდაყოლილ და შეძენილ, ჰუმორულ და უჯრედულ იმუნიტეტს. ანალიზებს იმუნური პასუხის რეგულაციის და კონტროლის დარღვევის მექანიზმებს.
- 1.4. გენეტიკური(მემკვიდრული) დაავადებების, ანთების, მეტაბოლიზმის, ინფექციის, აუტოიმუნური პროცესების განხილვისას აფასებს კორელაციას პათოლოგიური ცვლილებების და მექანიზმების განვითარებასა და დაავადებათა კლინიკურ გამოვლინებებს შორის.
- 1.5. მსჯელობს სოციალურ და ქცევით ფაქტორებზე, განმარტავს მათ როლს პათოლოგიური პროცესების განვითარებაში
- 1.6. ახდენს კლინიკური მედიცინის ღრმა და სისტემური ცოდნის და ბაზისურ საგნებთან ინტეგრირების დემონსტრირებას. აღწერს შინაგანი მედიცინის, ქირურგიის და მათი სუბსპეციალობების, ასევე - მეანობა-გინეკოლოგიის, პედიატრიის, ფსიქიატრიის ძირითად ნოზოლოგიებს. ახდენს მათ კლასიფიცირებას, მსჯელობს მათ ეტიოლოგიაზე,

განიხილავს მათ პათოგენეზს, ადარებს მათ სიმპტომატიკას, დიაგნოსტიკურ მეთოდებს და ახდენს მათ დიფერენცირებას.

- 1.7. ავლენს დაავადებათა მართვის სხვადასხვა მეთოდების ცოდნის ილუსტრირებას და ახდენს მათი გამოყენების არეალის, ჩვენებების სარგებლის და ეფექტურობის შედარებით შეჯამებას.
- 1.8. აღწერს და აფასებს სამკურნალწამლო პრეპარატების მოქმედების მექანიზმებს, ფარმაკოკინეტიკას და ფარმაკოდინამიკას, ჩვენებას, უკუჩვენებას, გვერდით ეფექტებს და მათი დოზის რეგულირების პრინციპებს.
- 1.9. აფასებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის მნიშვნელობას და ექიმის როლს ამ სისტემის გამოყენებით ინდივიდის და პოპულაციის ჯანმრთელობის ხარჯ-ეფექტურ მართვაში.
- 1.10. ავლენს მედიცინის ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების, პაციენტის უფლებების ღრმა ცოდნას.

უნარი

სწავლის შედეგი 2: (კომპეტენცია S1) პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა

პროგრამის კურსდამთავრებული:

- 2.1. ნებისმიერი ასაკის პაციენტის კონსულტაციის პროცესში ახორციელებს პაციენტთან შეხვედრის სწორ სტრუქტურირებას, გამართულ კომუნიკაციას და ეფექტურ მართვას.
- 2.2. ახერხებს ანამნეზური ინფორმაციის მოძიებას როგორც პაციენტისგან, ასევე სხვა წყაროებიდანაც (პაციენტის თანხმობით).
- 2.3. კონსულტაციის სტანდარტის დაცვით ატარებს ნებისმიერი ასაკის პაციენტის ფიზიკურ გამოკვლევას.
- 2.4. აფასებს პაციენტის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას და განსაზღვრავს სათანადო რჩევების ან სპეციალისტის კონსულტაციის აუცილებლობას. გამოხატავს პაციენტის მხარდაჭერას.
- 2.5. თეორიული ცოდნის და კლინიკური აზროვნების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს და უზიარებს პაციენტს დასაბუთებულ რეკომენდაციებს.

სწავლის შედეგი 3 (კომპეტენცია S2): კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა.

პროგრამის კურსდამთავრებული:

- 3.1. ნებისმიერი ასაკის პაციენტის შეფასებისას აცნობიერებს და აფასებს დაავადების კლინიკური შემთხვევის მანიფესტაციის სირთულეს.
- 3.2. თეორიული ცოდნის და პაციენტის მონაცემების საფუძველზე ატარებს გამოკვლევების ოპტიმალურ ნაკრებს და ახდენს გამოკვლევების შედეგების ინტერპრეტირებას.
- 3.3. კლინიკური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული მონაცემების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ატარებს დიფერენციულ დიაგნოსტიკას და განსაზღვრავს პაციენტის ძირითადი და თანმხლები დაავადებების დიაგნოზს.
- 3.4. ახორციელებს პაციენტისა და მისი მომვლელებისათვის მკურნალობის ტაქტიკის გაცნობას, შეთანხმებას, განმარტებებისა და რჩევების მიცემას.
- 3.5. ზრუნავს ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე და მის ოჯახზე

3.6. ახდენს ქრონიკული დაავადების მართვის დემონსტრირებას.

სწავლის შედეგი 4 (კომპეტენცია S3): გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები)

პროგრამის კურსდამთავრებული ახდენს შემდეგი უნარების დემონსტრირებას:

- 4.1. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება;
- 4.2. ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში (ახალშობილებში, ბავშვებში, ხანდაზმულებში);
- 4.3. ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების გაიდლაინების შესაბამისად ჩატარება;
- 4.4. სიცოცხლის შემანარჩუნებელი გაფართოებული ღონისძიებების გაიდლაინების შესაბამისად ჩატარება;
- 4.5. ტრავმების დროს გადაუდებელი დახმარების ღონისძიებების ჩატარება.

სწავლის შედეგი 5 (კომპეტენცია S4): მედიკამენტების შერჩევა და გამოწერა

პროგრამის კურსდამთავრებული:

- 5.1. ახდენს კლინიკური კონტექსტის შესაბამისად წამლების და დოზის შერჩევას
- 5.2. გამოწერს წამლებს გასაგებად და აკურატულად
- 5.3. აანალიზებს პაციენტისათვის წამლის სარგებლისა და პოტენციური გვერდითი ეფექტის რისკის თანაფარდობას
- 5.4. ითვალისწინებს სხვადასხვა მედიკამენტების ურთიერთქმედებას და თავსებადობას კონკრეტული პაციენტის მკურნალობის დანიშვნისას
- 5.5. ახორციელებს ტკივილის და დისტრესის მკურნალობას.

სწავლის შედეგი 6 (კომპეტენცია S5): პრაქტიკული პროცედურების განხორციელება

პროგრამის კურსდამთავრებული:

ახდენს პრაქტიკული სადიაგნოსტიკო და სამკურნალო პროცედურების დემონსტრირებას:

- 6.1. სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა: პულსი, სუნთქვა, ტემპერატურა (პაციენტზე)
- 6.2. არტერიული წნევის გაზომვა (პაციენტზე)
- 6.3. სატურაციის განსაზღვრა (პაციენტზე)
- 6.4. პერიფერიული ვენეპუნქცია (სიმულატორზე)
- 6.5. პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია (სიმულატორზე)
- 6.6. სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება (სიმულატორზე)
- 6.7. ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში (სიმულატორზე)
- 6.8. ოქსიგენოთერაპია (პაციენტზე)

- 6.9. პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა (სიმულატორი/სიმულირებული პაციენტი)
- 6.10. ნაკერის დადება (სიმულატორზე)
- 6.11. ჭრილობის დამუშავება და ნახვევის დადება (სიმულირებული პაციენტი)
- 6.12. შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (სიმულატორზე)
- 6.13. ელექტროკარდიოგრამის გადაღება (პაციენტზე)
- 6.14. სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება
- 6.15. საინჰალაციო მედიკამენტების გამოყენება
- 6.16. ხელების დაბანა
- 6.17. ცხვირ-ნახიდან ნაცხის აღება (სიმულატორზე)
- 6.18. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (ხელთათმანები, კომბინეზონი, სათვალე, ფარი, ნიღაბი, რესპირატორი, ბახილები, ჩაჩი) გამოყენება და უტილიზაცია

სწავლის შედეგი 7 (კომპეტენცია S6): სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაციის განხორციელება

პროგრამის კურსდამთავრებული:

- 7.1. წარმართავს პაციენტთან, მის ახლობლებთან, კოლეგებთან და სხვა პირებთან (განურჩევლად მათი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა) ეფექტურ ვერბალურ ან წერილობით კომუნიკაციას, იმ კონტექსტში და მოცულობით, რაც გათვალისწინებულია სამედიცინო დახმარების სრულყოფილად გაწევის კუთხით, ექიმის მოვალეობით და მოქმედი რეგულაციებით;
- 7.2. ახერხებს კომუნიკაციას ნათესავებთან (და/ან მომვლელებთან) - დიაგნოზის ახსნის/დაზუსტების და/ან მოვლის/მკურნალობის/პრევენციის განმარტებების/რჩევების/რეკომენდაციების (მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მოძიების) გადაცემის კუთხით.
- 7.3. ახერხებს კომუნიკაციას უნარშეზღუდულ პირებთან და/ან დამხმარე პირის საშუალებით;
- 7.4. ახორციელებს გამართულ წერილობით კომუნიკაციას (სამედიცინო ჩანაწერების და ელექტრონული სამედიცინო ისტორიების ჩათვლით) ჯანდაცვის, სამართალდაცავ ორგანოებთან და მასმედიასთან;
- 7.5. ახერხებს ცუდი ამბის შეტყობინების სწორად კომუნიკაციას და/ან კონფლიქტის შემთხვევაში კომუნიკაციას.

სწავლის შედეგი 8 (კომპეტენცია S7): სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება.

პროგრამის კურსდამთავრებული:

- 8.1. გამოხატავს პატივისცემას პაციენტის ღირსების და უფლებების, მათ შორის სამედიცინო დახმარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლების მიმართ.

- 8.2. სამედიცინო მომსახურების გაწევისას კანონის შესაბამისად იღებს პაციენტისაგან ვალიდურ ინფორმირებულ თანხმობას და აკეთებს სათანადო ჩანაწერს დოკუმენტაციაში;
- 8.3. გამოხატავს პაციენტის მხარდაჭერას და მისი უფლებების პატივისცემას; პაციენტთან მიმართებაში იცავს მორალურ და ეთიკურ ნორმებს;
- 8.4. ინარჩუნებს კონფიდენციალურობას ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ;
- 8.5. საჭიროების შემთხვევაში ახდენს აუტოფსიის მოთხოვნას და/ან სიკვდილის ცნობის გაცემას (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში).
- 8.6. ავადმყოფის მკურნალობისას იყენებს საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობას;
- 8.7. ახერხებს სამედიცინო საქმიანობის წარმართვას მულტიკულტურულ საზოგადოებაში.

სწავლის შედეგი 9 (კომპეტენცია S8): პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების გათვალისწინება, დადგენა და შეფასება პროგრამის კურსდამთავრებულთ:

- 9.1. აფასებს პაციენტის ფსიქოემოციურ სტატუსს და დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს.
- 9.2. ადგენს დაავადებასთან დაკავშირებულ სტრესს;
- 9.3. ადგენს პაციენტის შესაძლო დამოკიდებულებას ალკოჰოლზე, წამალდამოკიდებულებას, დამოკიდებულების სხვა შესაძლო ფორმებს (გემბლინგი, ინტერნეტდამოკიდებულება).

სწავლის შედეგი 10 (კომპეტენცია S9): მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება პროგრამის კურსდამთავრებულთ:

- 10.1. ახერხებს პრობლემის განსაზღვრას, საკითხის ირგვლივ რელევანტური კითხვების დასმას და კითხვებზე პასუხის ეფექტურად მოძიებას სამეცნიერო ლიტერატურაში.
- 10.2. ახორციელებს სამედიცინო ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს, სტატიებში მოყვანილი მტკიცებულებების ხარისხის შეფასებას და დამაჯერებელი მონაცემების სათანადოდ გამოყენებას პრაქტიკაში გადაწყვეტილების მიღებისას - ავადმყოფისათვის მაქსიმალური სარგებლის მიზნით;
- 10.3. განიხილავს კლინიკური გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებულ მტკიცებულებებს კოლეგებთან და ჯანდაცვის სხვა სპეციალისტებთან, რითაც ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დამყარებული პრინციპების, ცოდნის და უნარის გავრცელებას და ფართოდ დანერგვას სამედიცინო საზოგადოებაში.

სწავლის შედეგი 11: (კომპეტენცია S10) სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება პროგრამის კურსდამთავრებულთ:

- 11.1. პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს;
- 11.2. სწორად აწარმოებს და სრულად ინახავს კლინიკურ ჩანაწერებს;
- 11.3. ახორციელებს სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიებას, შენახვას და შემდეგ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას
- 11.4. აწარმოებს სწავლის, პრაქტიკული უნარების და პროფესიული საქმიანობის ამსახველ პირად ჩანაწერებს (პორტფოლიო).

სწავლის შედეგი 12 (კომპეტენცია S11). სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება.

პროგრამის კურსდამთავრებული:

- 12.1. ახდენს სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის, სამეცნიერო კოდექსის და ეთიკური პრინციპების ცოდნის დემონსტრირებას.
- 12.2. ავლენს კვლევის დიზაინის შერჩევის, დეტალური დაგეგმვის, მიღებული შედეგების დამუშავებისა და დასკვნების ფორმულირების უნარს.
- 12.3. მოიძიებს და პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებს დამაჯერებელ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ბიოსამედიცინო კვლევების უახლეს მიღწევებს.
- 12.4. დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ამზადებს რეფერატს/მიმოხილვას.
- 12.5. წარუდგენს საკუთარი კვლევის შედეგებს, არგუმენტებს და დასკვნებს, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიულ საზოგადოებას, სათანადო პრეზენტაციის ფორმით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

სწავლის შედეგი 13 (კომპეტენცია S12). ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა.

პროგრამის კურსდამთავრებული:

- 13.1. აქტიურად ერთვება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხების განხილვასა და თემის და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების პროცესში.
- 13.2. ადვოკატირებას უწევს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის გაზრდას დაავადებათა პრევენციული ღონისძიებების გატარებით.
- 13.3. მონაწილეობს ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებებში როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე.
- 13.4. ესმის ინფექციების გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების მნიშვნელობა და ამ ღონისძიებების ადვოკატირებით მონაწილეობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უსაფრთხოების გაძლიერებაში
- 13.5. აცნობიერებს და აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას და შესაძლო პრობლემებს, მათ შორის პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებით.

13.6. გეგმავს და ახორციელებს საკუთარი ჯანმრთელობის გაუმჯობესების ღონისძიებებს - ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვისა და მავნე ჩვევების აღმოფხვრის გზით, და როლური მაგალითით - საზოგადოებრივ ცნობიერებაზე პოზიტიური გავლენას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სწავლის შედეგი 14 (კომპეტენცია RA13). პროფესიონალიზმი /ღირებულებები

პროგრამის კურსდამთავრებული:

- 14.1. ახდენს საკუთარი ცოდნის დონის თვითშეფასებას და პრიორიტეტების შერჩევას, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანას და ადაპტირებული სასწავლო რესურსების ათვისებას სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასასვლელად
- 14.2. პიროვნული თვისებებით და საქმიანობით ადასტურებს ექიმისთვის აუცილებელი პერსონალური ღირებულებებისა და პროფესიონალიზმის მაღალ სტანდარტს: მიუკერძოებლობა, პატიოსნება, სამართლიანობა, შემოქმედებითობა, კომუნიკაბელობა, კოლეგიალობა, ინიციატიურობა, ალტრუიზმი, ემპათია (თანაგრძნობა).
- 14.3. ახერხებს ექსპერტული თვისებების გამომჟღავნებას - ანალიზის, სინთეზის, უწყვეტი სწავლის, სამეცნიერო კვლევის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, მენტორობის - კუთხით.
- 14.4. ახდენს დროის დაგეგმვის და ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევას, ვადების დაცვისა და შეთანხმებული სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულების უნარის დემონსტრირებას.
- 14.5. გამოხატავს გუნდურ მუშაობაში აუცილებელ შემდეგ უნარებს: პასუხისმგებლობა, კრიტიკული და თვითკრიტიკული დამოკიდებულება, გაურკვეველი მდგომარეობიდან გამოსავლის მოძიება, ახალ სიტუაციასთან ადაპტაცია, კრეატიულობა, დამოუკიდებლად მუშაობა, საკუთარი შესაძლებლობების ზღვარის გააზრება და დახმარების დროულად თხოვნა.
- 14.6. ახერხებს გუნდის ლიდერის შემდეგი თვისებების ჩამოყალიბებას და ეფექტურ დემონსტრირებას: ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება, ფუნქციების განაწილება, მუშაობის დაგეგმვა, საქმიანობის კოორდინაცია, უკუკავშირის გათვალისწინება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების პრევენცია/მართვა.
- 14.7. გამოხატავს მულტიკულტურალიზმის დამახასიათებელ უნარებს: მეორე ენის ცოდნა, განსხვავებული კულტურის პატივისცემა, საერთაშორისო გარემოში მუშაობის მზადყოფნა, ექსტრაპროფესიული ცოდნა.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

სწავლა/სწავლების ძირითადი ფორმები:

მედიცინის პროგრამის ნებისმიერი კურსში/მოდულში კონკრეტული საკითხის პედაგოგს უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, კომბინირება და ზოგჯერ, - ადაპტირებაც. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს, რაც ასახულია სილაბუსებში.

ლექცია შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტები. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული. ამასთან, ფაქტები, მაგალითები, სქემები, ნახაზები, ცდები და სხვა თვალსაჩინოებანი უნდა ემსახურებოდეს ლექციის იდეის ახსნას. ლექცია ინტერაქტიულია, როცა იღებს დიალოგის სახეს და ხდება სტუდენტების ჩართვა თეორიული მასალის განხილვის პროცესში; სასწავლო კურსის ფარგლებში ტარდება ლექცია-პრეზენტაციებით. ლექციები ტარდება სადემონსტრაციო მასალების (ატლასები, პოსტერები, პრეპარატები, ტაბულები, ვიდეოპრეზენტაციები და ა.შ.) და თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის **დამოუკიდებელი მუშაობით**. სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

თეორიული მასალა, რომელიც ლექციაზე გადაიცემა, კარგად აღიქმება სემინარებით, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობებით.

პრაქტიკული მეცადინეობა - ლექციაზე განხილული თემატიკისა და საკითხების გაცნობიერება, უფრო ღრმად დამუშავება, ატლასებზე, პოსტერებზე, სადემონსტრაციო მასალაზე, პრაქტიკული სახის ამოცანებზე სტუდენტებთან ინტერაქტიული მუშაობა, სტუდენტების მიერ ლექტორის მიერ მიცემული დავალების დავალების და დამოუკიდებელი მუშაობის შედეგების პრეზენტაცია შეფასებისა და უკუკავშირის მისაღებად. .

ლაბორატორიული სწავლება გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ლაბორატორიულ გარემოში კვლევების პრაქტიკული გაცნობა, ცდების დაყენება, ანათლების (სლაიდების) როგორც მიკროსკოპის, ასევე, ვიდეო და კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით ნახვა/ამოცნობა, ლაბორატორიული კვლევების შედეგების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება და აღნიშნული პრაქტიკული უნარების დემონსტრირება.

სემინარი - ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავება. წამყვანი პროფესორის ან სემინარის წამყვანი პედაგოგის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს/რეფერატს და სხვ. სემინარზე მოისმინება მოხსენებები, განიხილება კლინიკური შემთხვევები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სემინარის ხელმძღვანელი პედაგოგი კოორდინაციას უწევს დისკუსიის მიზანმიმართულად წარმართვას და აფასებს პრეზენტაციების და დისკუსიის შინაარსობრივ და ფორმალურ მხარეს, მოძიებული ლიტერატურის დამუშავებას და კრიტიკულ ანალიზს, არგუმენტაციის უნარს, დისკუსიის დროს მტკიცებულებების გამოყენებას და აკადემიური ეთიკის პრინციპების დაცვას. ამდენად სემინარი აერთებს სწავლის და შეფასების მეთოდებს.

დისკუსია - იდეების ერთობლივი გაცვლა ლექტორსა და სტუდენტებს, ან სტუდენტებს შორის - ამ უკანასკნელთა აზროვნების, სწავლის, პრობლემის შეფასების და გადაჭრის უნარის, გაგების, ცოდნის ღირებულების ჩამოყალიბებისა და გაღრმავების მიზნით. მონაწილეები წარმოადგენენ სხვადასხვა თვალსაზრისს, ხდება დისკუსიის სხვა მონაწილეთა იდეებზე და შეხედულებებზე რეაგირება პატივისცემის გამოხატვით და ეთიკური ნორმების დაცვით, საკუთარი მოსაზრებების განმეორებითი შეფასება ახალი მონაცემების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს ცოდნის, გაგების, საკითხების ინტერპრეტაციის ფორმირებასა და გამომუშავებას. დისკუსია შეიძლება მოხდეს მცირე ჯგუფის წევრებს შორის ან მთელი კლასის ფარგლებში - როგორც ლექტორის, ასევე - სტუდენტის ხელმძღვანელობით.

დებატები - მოითხოვს სტუდენტების ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობას კრიტიკული საკითხების კვლევაზე, ლოგიკურ არგუმენტირებაზე, სხვადასხვა მოსაზრებების აქტიურ მოსმენას, სუბიექტური და ობიექტური ინფორმაციის დიფერენცირებას, რაციონალური კითხვების არგუმენტირებულ პასუხებს, შესაბამისი ინფორმაციის ინტეგრირებას, თანაგრძნობის განვითარებას და მტკიცებულებების საფუძველზე საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებას.

ანალიზი - პრობლემის/თემატური საკითხის ღრმად შესწავლის უნარი; იგი ხელს უწყობს კონკრეტული დეტალების გამოკვეთას, მასალის შემადგენელ ნაწილებად დაშლას, პრობლემის კომპონენტებს შორის ლოგიკური კავშირის, ან პირიქით, შეუსაბამისობის იდენტიფიცირებას, ორგანიზაციული პრინციპების განსაზღვრას. პროგრამის ფარგლებში აღნიშნული გულისხმობს დისკუსიას კლინიკური შემთხვევის გარშემო - ფიზიკური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების ანალიზი, დიფერენციალური დიაგნოზი, მკურნალობის გეგმის შემუშავება და წარმატების თუ წარუმატებლობის ანალიზი და ა.შ.

სინთეზი - გარკვეულწილად ანალიზის გაგრძელება და შებრუნებული პროცესი - გულისხმობს ცალკეული საკითხების თავმოყრით მთლიანის შესახებ წარმოდგენის შექმნას, პრობლემის, როგორც „მთელი“-ს დანახვის უნარის განვითარებას. სწავლის შედეგების კუთხით ამ შემთხვევაში ხდება შემოქმედებით მიდგომაზე აქცენტის გაკეთება, რომელიც ხელს უწყობს ახალი ხედვის ჩამოყალიბებას, დიფერენციალური დიაგნოზის გატარებას, მკურნალობის გეგმის შემუშავებას.

გონებრივი იერიში - სტუდენტებს მოეთხოვებათ გამოხატონ თავისი მოსაზრებები და იდეები დაუფიქრებლად, წინასწარი მომზადების გარეშე, შემდგომ ხდება მათი იდეებისა და მოსაზრებების დაჯგუფება, გადახედვა და შესწავლა. ხელს უწყობს სწრაფი, შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებასა და ანალიზური უნარების გამომუშავებას.

კლინიკური სწავლება/მუშაობა - აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ჩვევებში გადაზრდა და კლინიკური უნარების ათვისება, რაც წარმოადგენს მომავალი სამედიცინო პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელ ეტაპს. ხორციელდება კლინიკაში ან კლინიკური უნარების ცენტრში/ლაბორატორიაში. კლინიკაში მუშაობა უფრო მაღალი საფეხურია, რადგან გულისხმობს კლინიკური უნარების ცენტრში გამომუშავებული უნარ-ჩვევების გადატანას რეალურ სამუშაო გარემოში, სადაც ხდება კომუნიკაცია არა მარტო რეალურ პაციენტებთან, არამედ კლინიკური სივრცის სხვადასხვა კომპონენტში (დეპარტამენტები, ლაბორატორიები, კვლევით-დიაგნოსტიკური კაბინეტები...) მომუშავე პერსონალთან (ექიმები, ექთნები, ლაბორანტები, მკვლევარები), რაც ამდიდრებს

სტუდენტის გამოცდილებას და მრავალფეროვანი კომპეტენციების სრულყოფილად დაუფლებაში უწყობს ხელს.

როლური თამაში - გულისხმობს სტუდენტების მიერ პაციენტისა და ექიმის როლის შესრულებას, პრაქტიკული/კლინიკური უნარების გამომუშავებას, დემონსტრაციას, შეფასებას/თვითშეფასებას. კლინიკური მუშაობის სხვა მეთოდებისგან განსხვავებით, შეიძლება განხორციელდეს აუდიტორიაშიც.

კლინიკური ჩვენების სიმულატორებზე შესწავლა - კლინიკური უნარების სწავლება და დახვეწა კლინიკური უნარ-ჩვენების ლაბორატორიაში/ცენტრში მულაჟების/სიმულატორების და/ან მათი ინტეგრირებული სისტემების გამოყენებით. მსგავსი სწავლების მეშვეობით ხერხდება რიგი დიაგნოსტიკური ან სამკურნალო პროცედურების რეპლიკაცია და კლინიკური სწავლების გაფართოება/გახშირება პრაქტიკული და ანალიტიკური უნარების დასახვეწად. სიმულატორების პარალელურად კლინიკური უნარების ლაბორატორიაში შეიძლება გამოყენებულ იქნას სტანდარტიზებული პაციენტის განხილვები, რაც სტუდენტს აძლევს მედიცინის სხვადასხვა სფეროში და სხვადასხვა სირთულის პაციენტის გამოკვლევისა და სამედიცინო აზროვნების სტანდარტიზებული სქემის განვითარების და დახვეწის შესაძლებლობას. როგორც სიმულატორები, ასევე სტანდარტიზებული პაციენტები აქტიურად გამოიყენება სწავლის შედეგების ობიექტურად შესაფასებლად.

სწავლება პაციენტის საწოლთან (Bedside teaching) - ექიმი-სტუდენტი-პაციენტის ინტერაქცია კლინიკაში, რაც პაციენტის თანხმობით მის საწოლთან ტარდება. სტუდენტთა მცირე ჯგუფი თავიდან უშუალოდ აკვირდება პაციენტის გასინჯვას, მონაცემების შეფასებას, გამოკვლევების გეგმის დასახვას, ინტერაქციას საექთნო პერსონალთან, დიფერენციულ დიაგნოზს, პაციენტის ახლობლებთან საკომუნიკაციო მესიჯების ჩამოყალიბებას, დანიშნულებების შედგენას და ზოგადად, პაციენტის კლინიკურ მართვას და მალევე ამას ასრულებს თვითონ, რაც ხელს უწყობს პრაქტიკული და კლინიკური უნარ-ჩვენების გამომუშავებას. პაციენტის გამოკვლევის კლინიკური, საკომუნიკაციო და ეთიკური უნარების პრაქტიკული, ინტერაქტიული სწავლა ხდება ავადმყოფის გასინჯვის პროცესში, შესაბამისი აქცენტების გამახვილებით, პაციენტის ინტერესების და ეთიკური მიდგომების დაცვის პრიორიტეტით. პაციენტისაგან ინფორმაციის მაქსიმალურად მოსაგროვებლად გამოყენებულია და მახვილდება ყურადღება სტუდენტის ყველა შეგრძნებაზე - მოსმენა (ანამნეზი, ჩივილები), ნახვა, შეხება, ალქმა, ყნოსვა. ასევე ხდება ჩანაწერების გაკეთება. პაციენტის საწოლთან შეიძლება გარკვეული მოსაზრებების დაფიქსირება და აზრთა გაცვლაც, თუმცა ისე, რომ დაცული იქნას პაციენტის საუკეთესო ინტერესები და არ მოხდეს მისთვის ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება. აღნიშნული მეთოდი მნიშვნელოვანია კლინიკური აზროვნების, ექიმის ტაქტის და პროფესიონალიზმის ჩამოყალიბებისათვის.

პრეზენტაცია - კურსის განმავლობაში სტუდენტის მიერ შექმნილი ცოდნისა და კომპეტენციების წარმოდგენა როგორც ჯგუფური/ინდივიდუალური სწავლების, ასევე - შეფასების მიზნით. შეიძლება წარმოდგენილი იყოს ინდივიდუალურად ან სტუდენტთა ჯგუფის მიერ. სამუშაოს მიზანია არჩეულ თემაზე ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, განზოგადება, და - ოპტიმალურ პრეზენტაციულ ფორმატში და წინასწარგანსაზღვრულ ლიმიტირებულ დროში - წარმოდგენა. შეფასებისას ცალკე ფასდება მასალის დამუშავება/გაცნობიერება, წარმოდგენის ფორმატი, რეგლამენტის დაცვა, აუდიტორიის დაინტერესება, საკუთარი მოსაზრებების გასაგებად ჩამოყალიბება, თემასთან დაკავშირებულ

კითხვებზე პასუხის გაცემა. პრეზენტაციის თემის შერჩევა წინასწარ ხდება. ლექტორს შეუძლია მისცეს სტუდენტებს პრეზენტაციის ზოგადი ჩარჩო, და მინიშნება საინფორმაციო რესურსებზე, მაგრამ სტუდენტ(ებ)ი დამოუკიდებლად ამზადებენ პრეზენტაციას, რომელიც შეიძლება იყოს როგორც თეორიულ, ასევე - კლინიკურ საკითხებზე კონკრეტული კურსის თემატიკის გათვალისწინებით. (მაგალითად - შემთხვევების გარჩევა). სასურველია პაციენტის (რეალური ან ვირტუალური) დემონსტრაციის ჩართვა.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (პდს - PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. მეთოდი გამოიყენება სწავლების ბაზისურ/პრეკლინიკურ ეტაპზე. სტუდენტი (ან სტუდენტთა ჯგუფი) ახდენს შემთხვევის დამოუკიდებლად შეფასებას - არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და პრიორიტეტულობის განსაზღვრას. შემდეგ იძიებს ინფორმაციას პრობლემის გადასაწყვეტად სხვადასხვა ბაზისური თუ კლინიკური დისციპლინებიდან, ხელახლა ახდენს პრობლემის კრიტიკულ ანალიზს და ინოვაციურ სინთეზს - დიფერენციული დიაგნოზის თუ მკურნალობის მეთოდების შესამუშავებლად. ეს მეთოდი ხელს უწყობს თეორიულ/ბაზისურ და კლინიკურ საგნებს შორის ინტერდისციპლინურ ინტეგრაციას, აყალიბებს/აუმჯობესებს დამოუკიდებელი სწავლის უნარს, სტუდენტებზე ორიენტირებული მიდგომის პრაქტიკულ გამოყენებას და სტუდენტთა ინტერაქციას, ასევე - ანალიზის, სინთეზის, კლინიკური მსჯელობის, გარკვეულწილად - გონებრივი იერიშის და თანასწორობთან დისკუსიის უნარების განვითარებას. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მოიცავს თანამშრომლობითი სწავლების და პრაქტიკული სწავლების გამოყენებასაც.

შებრუნებული სწავლება (flipped learning) - სწავლების მეთოდი, როდესაც ჯგუფს ჯერ ეძლევა თემა და ინსტრუქციები საშინაო დავალების სახით, ხოლო მისი ინდივიდუალურად მომზადების შემდეგ ხდება გაცილებით უფრო ინტერაქტიული განხილვა კლასში, სადაც ლექტორი დისკუსიის და განხილვის მოდერატორის როლში გამოდის, ხოლო სტუდენტები წარმოადგენენ თავიანთ ხედვებს, კონცეფციებს და ერთმანეთთან დისკუსიის წარმართვის უნარ-ჩვევებს. გულისხმობს ჯგუფის გაცილებით მაღალი დონის მზადყოფნის სასწავლო თემის ინტერაქტიული განხილვის მომენტისათვის. წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ონლაინ სწავლებასთან ერთად.

- პრობლემაზე და კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, (*PBL* და *CBL*, შესაბამისად). კლინიკური აზროვნების განვითარებისთვის რეკომენდებულია ასევე კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნების სასწავლო კურსის (*CBCR* – *Case-based Clinical Reasoning*) შემოღება სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე. როგორც *PBL*-ის, ასევე *CBCR*-ის უპირატესობა, სწავლების ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით, სტუდენტებში პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის და გუნდური მუშაობის უნარების გამომუშავებაა, რაც მეტად მნიშვნელოვანია ექიმის პროფესიული საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად.
- სწავლების დისტანციურად განხორციელებისას განსაკუთრებით რეკომენდებულია ე.წ. „შებრუნებული“ ლექცია/მეცადინეობა (*Flipped Classroom*) – როცა სტუდენტებს წინასწარ აწვდიან სალექციო თემატიკის შესახებ საინფორმაციო მასალას, ხოლო ლექციაზე უკვე მომზადებულ სტუდენტებთან ხდება თემის ინტერაქტიული განხილვა.
- დიდი ჯგუფების სწავლებისას მიზანშეწონილია ე.წ. „ჯგუფური სწავლება“ (*TBL- Team Based Learning*). ამ ტიპის სწავლებისას, ისევე, როგორც „შებრუნებული“

ლექციის/მეცადინეობის შემთხვევაში, სტუდენტებს წინასწარ აწვდიან სალექციო მასალას; ლექციის დროს სტუდენტებს ყოფენ მცირე ჯგუფებად (5-6 სტუდენტი ჯგუფში), აფასებენ მათ ცოდნას (როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად) პრე-და პოსტ-ტესტების მეშვეობით. არსებობს TBL-ის სხვადასხვა მოდიფიკაციები, რომლებიც გამოიყენება სწავლების ყველა ეტაპზე.

გუნდური სწავლა (TBL- Team-based - collaborative Learning) - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა მცირე (5-6 სტუდენტი) ჯგუფებად დაყოფას და, ისევე, როგორც „შებრუნებული“ ლექციის/მეცადინეობის შემთხვევაში, მათთვის წინასწარ სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. მეცადინეობაზე აფასებენ მათ ცოდნას (როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად) პრე- და პოსტ-ტესტების მეშვეობით. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - სწავლების სტრატეგია, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს. აღნიშნული სწავლების/თანასწავლების ასახვა პორტფოლიოში საშუალებას იძლევა შეფასდეს სტუდენტების გუნდური მუშაობის, ინტერპერსონალური და ეფექტური ლიდერობის უნარები, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დამამთავრებელ კურსებზე.

ელექტრონული სწავლება (E-learning) - გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. ელექტრონული სწავლება არის სამი სახის:

დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პედაგოგისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით (ძირითადად - ინტრანეტის გამოყენებით);

დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური დასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე მიმდინარეობს დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით; ინტერნეტის ან ინტრანეტის მეშვეობით - სინქრონულ (ონლაინ) ან ასინქრონულ (ოფლაინ) რეჟიმში. მასწავლებელი და სტუდენტები დაშორებული არიან სივრცით და შეიძლება დროშიც - ასინქრონული მოდელის დროს) და ერთმანეთს უზიარებენ ლექციას, პრეზენტაციას, საშინაო დავალების შესრულებას, შემთხვევის განხილვას ან ქვიზის ჩატარების შესაძლებლობასაც. პროგრამაში გამოიყენება ონლაინ სწავლების სხვადასხვა პოპულარული კომერციული ან უფასო პლატფორმები (Zoom, Microsoft Teams, Doodle, Google Meet), ჰიბრიდული სწავლების აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კლინიკური შემთხვევების სიმულაციური განხილვის სწავლის მართვის ონლაინ მოდულები და პროგრამები

ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური) - სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

შემთხვევაზე-დაფუძნებული სწავლა Case-based Learning - სწავლების ინტერაქტიული მეთოდი, რომელიც მიეკუთვნება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდს. მეთოდი სტუდენტს უვითარებს ანალიტიკურ აზროვნებას, კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარს. ლექტორი ანაწილებს როლებს ჯგუფში სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, სტუდენტები ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს და წარმოადგენენ თავის დასკვნას. ხდება კლინიკური შემთხვევის განხილვა, პაციენტის ანამნეზის, გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დიაგნოზის, მკურნალობის პრინციპების განსაზღვრა, წახალისებულია სტუდენტების ინდივიდუალური და ჯგუფური დისკუსია დიფერენციული დიაგნოზის, გამოკვლევის გეგმის და მკურნალობის ტაქტიკის ალტერნატიული მიდგომების დასაცავად არგუმენტირებული მსჯელობის და დისკუსიის დამაჯერებლად და ეთიკურად წარმართვის უნარ-ჩვევების განსავითარებლად.

შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება (Case-based Clinical Reasoning – CBCR), განსხვავებით შემთხვევის ჩვეულებრივი ანალიზისაგან, გაცილებით მეტ აქტიურ და დამოუკიდებელ როლს ანიჭებს სტუდენტებს, განსაკუთრებით - სესიის წამყვან თანასწორ მასწავლებელს (Peer Teacher) ხოლო ლექტორი როლების განაწილებისა და შემთხვევის შესახებ სხვადასხვა მასშტაბის ინფორმაციის მიწოდების შემდეგ უფრო პროცესის დამკვირვებლის/კონსულტანტის როლს ასრულებს, ხოლო პროცესიც და სტუდენტთა მიერ შემთხვევის ანალიზების შეფასება მთლიანად წარმართება თანასწორი მასწავლებლის მიერ. ეს როლი სხვადასხვა სესიაზე სხვადასხვა სტუდენტზე ნაწილდება.

სამეცნიერო და პრაქტიკული კლინიკური სიახლეების განხილვა აკადემიური ჟურნალების სტატიებიდან (Journal Club) - სტუდენტების მცირე ან ზოგჯერ გაფართოებული ჯგუფების სისტემატური შეხვედრები აკადემიური სტატიებში მოყვანილი სიახლეების განხილვის და კრიტიკული ანალიზის, ხოლო შემდეგ ანგარიშების/პრეზენტაციების წარდგენის მიზნით.

კვლევითი (საკურსო) ნაშრომი - კონკრეტული თემის/საკითხის სიღრმისეული ანალიზი. საჭიროებს დამატებითი ლიტერატურის წაკითხვას, დამუშავებასა და წერილობითი ფორმით წარმოდგენას. იძლევა კონკრეტული მიმართულების/კურსის ფარგლებში ცოდნის გაღრმავების, უკეთ გაცნობიერების, შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების გამომუშავების და სისტემურ დონეზე ცოდნის ინტეგრაციის საშუალებას. იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა წერილობითი და ზეპირი ფორმით ნათლად წარმოადგინოს თავისი დასკვნები, იმსჯელოს მასზე, წარმოადგინოს თავისი ცოდნა და არგუმენტები, რომლის საფუძველზეც მოხდა საკურსო ნაშრომის შემუშავება; გააცნობიეროს კვლევის ეთიკური ასპექტები.

კონსულტაცია - სტუდენტის მიერ კურსის ან კვლევის ხელმძღვანელთან კვლევის განხილვა და დაგეგმვა და გარკვეული რეკომენდაციების მიღება მაგ. სწავლასა და ცოდნაში არსებული ხარვეზის ეფექტურად შევსებისათვის სასარგებლო წყაროების და/ან მეთოდოლოგიის შესახებ, ან ნაშრომის გეგმის, მეთოდოლოგიის, ლიტერატურის მიმოხილვის, მასალების მოძიების, სტატისტიკური მეთოდების, შინაარსის, ანალიზის, დასკვნების კუთხით

და პრეზენტაციის ფორმალური მხარის გასაუმჯობესებლად, რაც არ გულისხმობს ხელმძღვანელის მიერ ფუნდამენტური ცვლილებების შეტანას, არამედ, გარკვეული მონახაზის დაზუსტებას, მინიშნებების გაკეთებას და რეკომენდაციების გაცემას. აღნიშნული მუშაობა გულისხმობს სტუდენტის ინდივიდუალური მუშაობის დახვეწას, მაგრამ არა ჩანაცვლებას და რეკომენდებულია ხდებოდეს შესაბამისი ასახვით, როგორც სტუდენტის მხრიდან (პორტფოლიოში) ასევე ხელმძღვანელის მხრიდან (უკუკავშირის სახით).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს და საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულ WFME და MEDINE ერთობლივ დოკუმენტს "სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესების გლობალური სტანდარტები ევროპული სპეციფიკის გათვალისწინებით".

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედურ შეფასებებში გათვალისწინებულია როგორც შუალედური ტესტები, ასევე სტუდენტის სხვადასხვა აქტივობები (პრეზენტაცია/რეფერატი, ლაბორატორიული მუშაობა, კლინიკური პრაქტიკული უნარების დემონსტრირება, PBL, CBL/CBCR, შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია).

- დასკვნითი შეფასების კომპონენტებია: წერიტი MCQ ტესტი (ან ზეპირი გამოცდა), პირდაპირი დაკვირვება პროცედურების შესრულების უნარებზე - Direct Observation of Procedural Skills (DOPS), OSCE/OSPE, 360°-იანი შეფასება, მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშო (Mini-CEX), და პორტფოლიო. სასწავლო კომპონენტში მაქსიმალური ანუ 100 ქულიდან შუალედური შეფასებების ჯამის ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 შუალედური და დასკვნითი შეფასების ორივე ფორმაში დადგენილია 51%-იანი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სტუდენტმა, შუალედურ შეფასებებში, ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე (ტესტური მრავლობითი არჩევნით + პრაქტიკული უნარების დემონსტრაციით - სხეულის ორგანოთა სისტემის მოდულებში, წერიტი სიტუაციური ტესტებით - საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ტესტური + OSPE - ეტაპური გამოცდა სხეულის სისტემებში, ტესტური + OSCE - კლინიკურ და კომუნიკაციური უნარების, კლინიკურ საგნებში, და სხვ.) გასვლის უფლება.

სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ეთვლება ჩაბარებულად, თუ მან მიიღო 30 ქულის 51% ან მეტი. დასკვნით შეფასებაში 51%-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში, იგი ჩაბარებულად არ ითვლება. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას

- ა) (A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;
- გ) (C) კარგი – 71 - 80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას

ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შეფასების მეთოდები

შეფასება იყოფა ა) მიმდინარე - ყოველდღიური ან ყოველკვირეული (შუალედური) შეფასება - კურსის ხანგრძლივობის მიხედვით და ბ) შემაჯამებელ შეფასებებად.

მიმდინარე ანუ ფორმაციული შეფასებები გამოიყენება სტუდენტის დინამიური შეფასებისა და სწავლის პროცესში მისი უკეთ ინფორმირებულობის მიზნით მაქსიმალური ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია, ე.წ. ფორმაციული - დეტალიზებული, აღწერილობითი, ცალკეული ნიუანსების - სტუდენტის როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეების შეფასება, რათა დროულად მოხდეს ცოდნის უნარების თუ პროფესიულ-ეთიკური ნორმების დაცვაში აღმოჩენილი ხარვეზების იდენტიფიცირება. პოტენციური პრობლემის დაფიქსირება და მის გამოსწორებაზე აქცენტირება როგორც ლექტორის მიერ სწავლის და შეფასების მიდგომებში სათანადო შესაძლო კორექტივების, ასევე თავად სტუდენტის მიერ საკუთარ სწავლის ინდივიდუალურ გეგმაში ცვლილებების დროულად შეტანის მეშვეობით. აღნიშნული უკუკავშირი, სტუდენტის მიერ თავისი აქტივობების დაფიქსირებასთან ერთად აძლევს ამ უკანასკნელს პორთფოლიოს შევსების შესაძლებლობას, რომელიც დასკვნითი შეფასებისას ფასდება.

შუალედური შეფასების ნაწილი მოიცავს სტუდენტის მიერ განხორციელებულ აქტივობებს: ლაბორატორიული უნარების დემონსტრაციას, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების განხილვას, კლინიკურ სწავლების (პაციენტის საწოლთან და კლინიკური უნარების ლაბორატორიაში), როლური თამაშების შეფასებას, შემთხვევების განხილვის (CBL) ან შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნების (CBCR) განხილვას; ჯგუფური სწავლების სესიების შეფასებას, პრეზენტაციის/რეფერატის შეფასებას.

ზეპირი გამოცდა (oral exam) - ათვისებული თემატური სასწავლო მასალის (დაავადების ეტიოპათოგენეზის, სიმპტომატიკის, კლინიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სხვა ნიუანსების) აღწერილობითი და განმარტებითი გადმოცემა მოყოლით ან სხვადასხვა თვალსაჩინოების - სქემატური, ცხრილური, ფორმულების - გამოყენებით, ასევე - კითხვებზე პასუხის სიტყვიერად გაცემა. ზეპირი გამოცდა შეიძლება მოიცავდეს შემთხვევის განხილვას, ანალიზს და დისკუსიას და გარკვეული უპირატესობა გააჩნია კომუნიკაციის,

ინტერპერსონალური უნარის, გადაწყვეტილების მიღების (decisiveness) და კრიტიკული აზროვნების შესაფასებლად.

წერითი ტესტი / Quiz - წერითი ნამუშევარი განვლილი თემატიკის ფარგლებში თეორიული მასალის ცოდნისა და ინტეგრირების უნარის შემოწმება, როგორც წესი - მრავლობითი არჩევნის ტესტის (MCQ) სახით, სადაც შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნას მოკლე ან ეტაპობრივი კლინიკური შემთხვევები. ხელს უწყობს გავლილი მასალის გახსენებასა და ახალ მასალასთან მის კორელაციას.

წერითი სიტუაციური ტესტი - ძირითადად გამოიყენება ბიოსტატისტიკის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ეპიდემიოლოგიის, მტკიცებითი მედიცინის სწავლის შედეგების შეფასებისათვის, სხვადასხვა ტიპის სტატიების კრიტიკული ანალიზის, კვლევების არსის, ტიპის, ძლიერი და სუსტი მხარეების, ვალიდურობის განსაზღვრის, ფაქტორების ექსპოზიციის, რისკის სტრატეგიკაციის. სარწმუნოების კოეფიციენტების გამოთვლების შესაფასებლად. ჩვეულებრივ, გამოიყენება 10-ზე მეტი გაფართოებული სიტუაციური ამოცანა და ფასდება სტუდენტის მსჯელობის, ლოგიკის, არგუმენტაციის, გამოვლენილი ასოციაციის ალტერნატიული ახსნის, ფაქტობრივი ცოდნის და გამოთვლების სიზუსტის პარამეტრები.

პრაქტიკული უნარების დემონსტრაცია (მულაჟებზე, პაციენტზე ან სტანდარტიზებულ პაციენტზე): პაციენტის გამოკითხვა, გასინჯვა და ჩანაწერების გაკეთება, სხვადასხვა მეთოდებით გამოკვლევა, გამოკვლევის შედეგების წაკითხვა და ინტერპრეტაცია, დიფერენციალური დიაგნოზისთვის შემთხვევის შესაბამისი დაავადებების ჯგუფის ჩამოყალიბება და არგუმენტირებული მსჯელობის და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე სწორი დიაგნოზის განსაზღვრა, მკურნალობის გეგმის შემუშავება, სამკურნალო პროცედურების განხორციელება, ეპიკრიზის შედგენა.

უკუკავშირი (Feedback) - ლექტორის მიერ სტუდენტისათვის მისი ცოდნის შესახებ ინფორმაციის იმ ფორმით მიწოდება, რომელიც გამიზნულია მისი ფიქრის და ქცევის იმგვარად შესაცვლელად, რომ სწავლის პროცესი და სწავლის შედეგი გაუმჯობესდეს. ნაცვლად მათემატიკური ქულობრივი შეფასებისა, უკუკავშირი წარმოადგენს ხარისხობრივ, ფორმაციულ შეფასებას და იმის საფუძველს, რომ მსწავლელმა აღმოაჩინოს შეცდომები და საკუთარი ცოდნის დეფიციტი, გამოავლინოს ის მიზეზები, რის გამოც აქვს გარკვეული ჩამორჩენა, უკეთ დაინახოს სწავლის მიზანი და ამოცანები, გააუმჯობესოს საკუთარი შესრულების ხარისხი. დროული, ხშირი, სპეციფიური, ახსნითი, კონსტრუქციული უკუკავშირი წარმოადგენს სტუდენტის სწავლის შედეგების გაუმჯობესების ეფექტურ შესაძლებლობას და ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ლექტორის საქმიანობის შესაფასებლად.

ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა - OSCE (Objective Structured Clinical examination) — OSCE-ის დროს სტუდენტები ახდენენ კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირებას სიმულატორების გამოყენებით ან პაციენტის როლის შემსრულებელ პირებზე (სტანდარტიზებულ ან სიმულირებულ პაციენტებზე) წინასწარ გაწერილი სტრუქტურირებული სცენარების, დადგენილი ინდიკატორების და ქულების მიხედვით, რაც უნარების დანაწევრებული კომპონენტების არა მარტო ხარისხობრივი, არამედ რაოდენობრივი შეფასების საშუალებას იძლევა, რაც სუბიექტური აღქმის ობიექტივიზაციის და ინდივიდუალური სტუდენტების, თუ ზოგადად კურსის/პროგრამის შეფასების, დინამიკაში ცვლილებების და შედარების საშუალებას იძლევა. შუალედური შეფასებებისას

შეიძლება გამოყენებულ იქნას ე.წ. Mini-OSCE შესაფასებელი უნარების და სადგურების ნაკლები რაოდენობით. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად ანალოგიური მეთოდია **ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (Objective Structured Practical Exam – OSPE)**.

შეფასება სამუშაო (კლინიკურ) გარემოში - WPBA (Work Place Based Assessment) - ძირითადად გამოიყენება კლინიკური სწავლების დამამთავრებელ - კლინიკური როტაციების - ეტაპზე. ეს მეთოდებია:

- პირდაპირი დაკვირვება პროცედურების შესრულების უნარებზე - Direct Observation of Procedural Skills (DOPS)
- შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია - Case Based Discussion (CBD)
- მინი-კლინიკური შეფასების სავარჯიშო - Mini Clinical Evaluation Exercise (Mini-CEX)
- 360°-იანი შეფასება - მრავალმხრივი შეფასება.

შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია (Case-Based Discussion) - ფორმაციული შეფასების სტრუქტურული მეთოდი, რომელიც მნიშვნელოვანია სტუდენტებისა და შემფასებლისთვისაც. იგი იძლევა საშუალებას კონკრეტული შემთხვევის გარჩევით და მშვიდ გარემოში წარმართული დისკუსიებით მოხდეს სტუდენტის კომპეტენციების (ჩვეულებრივ - 2-4), კლინიკური გადაწყვეტილების მიღების, დიაგნოზის ჩამოყალიბების და მკურნალობის დანიშნის უნარების შეფასება. ამისათვის სტუდენტი ჯერ მოკლედ აყალიბებს შემთხვევას, ახდენს მთავარი კითხვების/პრობლემების იდენტიფიცირებას, მათი გადაჭრის გზებზე საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას, და იმ ნიუანსებზე ყურადღების გამახვილებას, რომლებიც განსაკუთრებით რთული გამოდგა. ლექტორის შეკითხვები უნდა ეხებოდეს კონკრეტულ ფორმულირებებს (მაგალითად, როგორ დაისვა კითხვა), მტკიცებულებებს (რასაც კონკრეტული გადაწყვეტილებები ეყრდნობოდა), იმას, რაც ჩათვლილი იქნა საჭიროდ, და იმას, რაც იქნა გამოტოვებული. თითოეულ კომპეტენციის მიმართულებით ფასდება, რა შესრულდა კარგად და რა - ვერ შესრულდა.

მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშო (Mini-CEX) - სამუშაო გარემოში სტუდენტსა და პაციენტს შორის რეალურ ცხოვრებისეულ შედარებით მოკლე ინტერაქციაზე (არაუმეტეს 15 წუთისა) დაკვირვების მეთოდი, რომლითაც ფასდება სტუდენტის მიერ პაციენტის კონსულტირების კლინიკური და საკომუნიკაციო უნარები, კლინიკური გადაწყვეტილება, კლინიკური მენეჯმენტი, პაციენტის მიმართ დამოკიდებულება/ქცევები (ეთიკური ნორმების და სტანდარტების იმპლემენტაცია) და ორგანიზებულობა/ეფექტურობა.

პორთფოლიო - სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობების გრძელვადიანი შეფასება. პორთფოლიო უნდა შეიცავდეს სტუდენტის მიერ მოგროვილ დოკუმენტებს/მტკიცებულებებს, რომლებიც ასახავს სტუდენტის აქტივობას დინამიკაში - სწავლა/სწავლების სხვადასხვა საფეხურებზე (მაგ. მონაწილეობა პაციენტების გამოკვლევა/მკურნალობაში, პრეზენტაციებში, სემინარებში, კონფერენციებში, დამოუკიდებელი სწავლა, სოციალური აქტივობა, პერსონალური განვითარების გეგმა, კომპეტენციების განვითარება და ა.შ.), ასევე სტუდენტის თვით-შეფასებას, რაც მისი თვითკრიტიკულობის საზომიცაა. ლექტორი ახდენს აქტივობების და დოკუმენტაციის შეფასებას, შედის ინტერაქციაში სტუდენტთან შეფასებების განსხვავების შემთხვევაში და ახდენს სტუდენტის როგორც სუმაციურ (ქულებით), ასევე ფორმაციულ (სიტყვიერ) შეფასებას. პორთფოლიო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლინიკური სწავლების

და როტაციულ ეტაპზე. პორტფოლიოს განვითარებული და მოსახერხებელი ფორმას ელექტრონული პორტფოლიო (ePortfolio).

დასაქმების სფერო

“დიპლომირებული მედიკოსის” პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს:

- ა) გაიაროს პროფესიული განვითარების პროგრამა რეზიდენტურაში (ან საზღვარგარეთ ეკვივალენტურ პროფესიულ პროგრამაზე, რომელიც აღიარებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით) და ერთიანი სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდგომ მიენიჭოს დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლება.
- ბ) ჩაერთოს კვლევაში ან სამედიცინო-საგანმანათლებლო პროცესში მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანდაცვის დარგში, რაც არ მოიცავს დამოუკიდებელ სამედიცინო საქმიანობას.
- გ) სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში.
- დ) იმუშაოს უმცროს ექიმად (დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე პირის ხელმძღვანელობით და მითითებებით).